ხელშეკრულება N07112019

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

7 ნოემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, ***სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლა (ს/კ: 215606404)*** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის შემსრულებლის ***ზურაბ პაპიძე (პ/ნ: 54001012578)*** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ბაო“ ს/კ: 445404553** წარმოდგენილი მისი დირექტორის ***ელგუჯა თავდგირიძის სახით (პ/ნ: 61010000086)*** (შემდგომში მიმწოდებელი), ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1 ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც მათ მინიჭებული აქვთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია **სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ უსახელოს** სახსრებით **CVP 30200000** კოდით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება საქონლის თანდართული ფასების მიხედვით შეადგენს **220 (ორასოცი)** ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. ხარისხი და გარანტია

4.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მიერ განსაზღრულ მოთხოვნებს.

5. მხარეების უფლებები და მოვალეობები

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

5.1.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან აითვისოს მხოლოდ მისი საჭიროებიდან გამომდინარე თანხა.

5.1.2 პერიოდულად შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

5.1.3 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დაცვაზე;

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1 წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული გამოვლენილი ხარვეზების შესახებ;

5.2.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოახდინოს ამ ხელშეკრულების **მე-9** მუხლის შესაბამისად.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

5.3.1 მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.3.2 მონაწილეობა მიიღოს შემსყიდველის მიერ განხორციელებული საქონლის კონტროლის პროცესში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5.4.2 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

5.4.3 განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა მიწოდებული საქონლის შესახებ;

5.4.5 გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე,

6.2 ხელშეკულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ამ შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი;

6.3 კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს მიზეზების მითითებით.

6.4 გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

7.1 .შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის ***შესაბამისად ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე.***

7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი მე-6 კორპუსი

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

8.2 საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

9. ანგარიშსწორება

9.1 **ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:**

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო; წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება ელექტრონული სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან **10 (ათი)** სამუშაო დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, ხელშეკრულების **მე-12** მუხლის შესაბამისად.

11. მხარეების პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

11.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

11.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

11.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

11.5 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დაგვიანებით განხორციელებული მოწოდების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით,.

11.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.7 შემსწიდველი უფლებამოსულია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენელის ხელმოწერით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წარმოქმნილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რაც უნდა გაფორმდეს წერილობით.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 10 დღით ადრე.
14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ***ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.***

16. ფორს–მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომასა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა დებულებები

17.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
17.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
17.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
17.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი – მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
17.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

ზურაბ პაპიძე
სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლა
მის: ჭიათურა სოფელი წყალშავი
ს/კ: ***215606404***
ტელ: 595240128
ელ. ფოსტა:

„მიმწოდებელი“

ელგუჯა თავდგირიძე
შპს „ბაო“-ს დირექტორი
ს/კოდი: 445404553
მის: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი მე-6 კორპუსი, ბინა-1
ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ: GE27TB7612136060100001;
ტელ: 577 23 32 90
ელ. ფოსტა: gujatavdgiridze@gmail.com

_____
ხელმოწერა/შტამპი

_____
/ხელმოწერა/შტამპი

LEPL-Chiatura Municipality Village Tskalshavi Public School

Digitally signed by LEPL-Chiatura Municipality Village Tskalshavi Public School
Date: 2019.11.15 12:36:28 +04'00'

დანართი #1

CPV 30200000 კლასიფიკატორის დანაყოფის კოდის ფასების ცხრილი

	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	საერთო ღირებულება
კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები	კარტრიჯი ლაზერული	ცალი	5	100
	ფლეშმეხსიერება (128გბ, 64გბ)	ცალი	2	120
			სულ:	**220**

„შემსყიდველი“

_____

ხელმოწა/შტამპი

„მიმწოდებელი“

_____

/ხელმოწერა/შტამპი/